ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №51

(მომსახურების შესყიდვა)

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთის მხრივ **სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი მისი დირექტორი ირაკლი ათუნაშვილის სახით** (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „აი ემ ეი ჯი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის იაკობ მელიქიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, შემდეგში „მიმწოდებელი“ - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს[1]“ ქვეპუნქტის და მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – 200 ცალი სავიზიტო ბარათისაა და სპეკტაკლი მოპარული ბედნიერების 30 ცალი მხატვრული აფიშების ბეჭდვა.
2.2 დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები
2.3 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
2.4 შესყიდვის კატეგორია, (CPV) კოდი – CPV22462000,,- სარეკლამო მასალა
CPV 79810000, ბეჭდვითი მომსახურება

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **140-00 (ასორმოცი)** ლარს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან მ/წლის 17 ივნისის ჩათვლით
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების დადების დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 20 ივლისის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 30 დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.
10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, მეორე - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი:**
ს.ს.ი.პ მესხეთის (ახალციხის)	**შპს „აი ემ ეი ჯი“**
პროფესიული სახელმწიფო	**ს/წ** 424252061
დრამატული თეატრი	ქ. ახალციხე, კოსტავას 12/7
ქ. ახალციხე ,თამარ მეფის ქ. №6	საქართველოს ბანკი BAGAGE22
სახელმწიფო ხაზინა	№ **GE57BG0000000664287600**
სახაზინო კოდი TRSEGE22	
ს/კ 224072928	
ანგარიში № **708277015**	
დირექტორი: ი. ათუნაშვილი	დირ. ი. მელიქიძე
LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre Digitally signed by LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre Date: 2019.06.03 14:56:19 +04'00'	_____